ინსპექტირების ანგარიში

ინსპექტირების სფერო: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის მშენებლობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობის დადგენა.

ინსპექტირების ობიექტი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები, აგრეთვე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური გაანგარიშება.

ინსპექტირების წინაშე დასმული კითხვები: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის მშენებლობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში მოსაზღვრე შენობაზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობის დასადგენად წარმოდგენილი კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგების დადგენა.

დამკვეთის მიერ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია: დამკვეთის მიერ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი იქნა შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები, აგრეთვე ორივე შენობის სივრცული კარკასის გაანგარიშება საანგარიშო პროგრამა „LIRA SAPR 2021“-ის მეშვეობით, და სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური გაანგარიშება.

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი ინსპექტირების ანგარიში

შედეგები: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის

კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირების შედეგები აკმაყოფილებს საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმატივებისა და წესების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობების დაფუძნების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებისა და პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების საფუძველზე დგინდება, რომ ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის როგორც მშენებლობის, ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა მოსაზღვრე ერთსართულიან საწარმოო შენობებზე.

ვრცლად იხილეთ კვლევით ნაწილში.

დ ა ს კ ვ ნ ა

განაცხადის თანახმად უნდა დადგინდეს, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის მშენებლობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მოსაზღვრე ერთსართულიან საწარმოო შენობებზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა.

დამკვეთის მიერ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები, აგრეთვე საპროექტო შენობების სივრცული კარკასის გაანგარიშება საანგარიშო პროგრამა „LIRA SAPR 2021“-ის მეშვეობით.
- ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური გაანგარიშება.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ერთსართულიანი, სარდაფის გარეშე, ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის განხილვისას დგინდება, რომ საპროექტო შენობებს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთის

მხრიდან - საავტომობილო გზა, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ერთსართულიანი, სარდაფის გარეშე, საწარმოო შენობები.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ტერიტორია განთავსებულია მცირე ქანობიან ფერდზე. საპროექტო შენობების „1“ ღერძთან აბსოლუტური ნიშნული 506.63 მ-ის ტოლია, „15“ ღერძთან კი 507.66 მ-ის ტოლი. საპროექტო შენობის პირობითი ±0.00 ნიშნული შეესაბამება 508.00 მ-ის აბსოლუტურ ნიშნულს, ხოლო სამხრეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობის ±0.00 ნიშნული 506.80 მ-ის ტოლია. საპროექტო შენობის მაქსიმალური სიმაღლე სამხრეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობასთან 7.91 მ-ის ტოლია ±0.00 ნიშნულიდან, ხოლო მოსაზღვრე შენობის კი 5,40 მ-ის ტოლი. საპროექტო შენობასა და სამხრეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობას შორის მანძილი ცვალებადია და ტოლია 2.76 -:- 3.90 მ-მდე.

რაც შეეხება დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობას, ისიც ერთსართულიანია სარდაფის გარეშე, რომლის ±0.00 ნიშნული შეესაბამება 504.35 მ-ის აბსოლუტურ ნიშნულს. მანძილი საპროექტო შენობასა და დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობას შორის ცვალებადია და ტოლია 4.10 -:- 5.66 მ-მდე. აღსანიშნავია, რომ საპროექტო შენობასა და დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობებს შორის ფიქსირდება ანაკრები რკინაბეტონის პანელებით ნაშენი ღობე.

ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ, როგორც საპროექტო შენობის საძირკველი, აგრეთვე მისი დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობისა და მათ შორის გამავალი კაპიტალური ღობის საძირკვლების ფუძე გრუნტად ფიქსირდება ერთი და იგივე საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, ს.გ.ე.1.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ტექნიკური გაანგარიშების განხილვისას დგინდება, რომ სამშენებლო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არასასურველი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, კარსტი, ზვავი, ჩაქცევები, ჯდენები და სხვა) განვითარება მოსალოდნელი არ არის. ტერიტორია მდგრადია და იმყოფება კარგ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

საპროექტო შენობის ფუძე-გრუნტად მიღებულია ფენა №3, ს.გ.ე.1, რომლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- გრუნტის სიმკვრივე $P=1.79$ გ/სმ^3
- ხვედრითი შეჭიდულობა $C=0.45$ კგძ/სმ^2
- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=16^0$
- დეფორმაციის მოდული $E=200$ კგძ/სმ^2
- საანგარიშო წინაღობა $R_0=2.20$ კგძ/სმ^2

გამოკვლეულ სიღრმეზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

სეისმური დარაიონების მიხედვით სამშენებლო ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ ზონას.

ქვაბულის გახსნისას ინჟინერ-გეოლოგის მიერ უნდა შედგეს ქვაბულის მიღების შესაბამისი აქტი, აგრეთვე აუცილებელია გაშიშვლდეს მოსაზღვრე შენობის საძირკველი, რათა დაზუსტდეს საძირკვლის ძირის აბსოლუტური ნიშნული.

სასურველია საპროექტო შენობისა და სამხრეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულები დაფიქსირდეს ერთ აბსოლუტურ ნიშნულზე (დასაშვებია საძირკვლის ძირის აბსოლუტურ ნიშნულებს შორის მცირე სხვაობა, მაქსიმუმ 1.0 მ-მდე).

საპროექტო შენობის დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობა მიუხედავად იმისა, რომ მისი საძირკვლის ძირის ნიშნული ≈ 2.5 -:- 3.0 მ-ით დაბალია, ფუძე-გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიდან გამომდინარე (იგულისხმება შინაგანი ხახუნის კუთხე და დეფორმაციის მოდული) და მათ შორის დაფიქსირებული კაპიტალური ღობის საძირკვლის ძირის ნიშნული, რომელიც საპროექტო შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულიდან მაქსიმუმ 1.0 მ-ით დაბლა ფიქსირდება, აგრეთვე საპროექტო და დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობებს შორის მანძილის საფუძველზე, უარყოფითი ზეგავლენა არ მოხდება, როგორც მშენებლობის, ასევე შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე ავტოსერვისის ძირითადი კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის განხილვისას დგინდება, რომ ავტოსერვისის ძირითადი შენობის მზიდუნარიანობა ±0.00 ნიშნულის ზემოთ გადაწყვეტილია ლითონის ელემენტების მეშვეობით სივრცული კარკასის შექმნით, ხოლო მიწის ქვეშა ელემენტები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონით.

საოფისე შენობის მზიდუნარიანობა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სივრცული კარკასის შექმნით, რომელიც წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ლენტური საძირკვლის, სვეტების რიგელებისა და სართულშუა გადახურვის ფილების ერთიანობას.

საპროექტო შენობების ცალკეული მზიდი ელემენტების მონაცემები ჩამოთვლილია ქვემოთ.

ავტოსერვისის ძირითადი საწარმოო კორპუსი:

- საძირკველი - წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან ფუნდამენტს, რომლის გაბარიტული ზომები ტოლია
  a x b x h =1600x1600x400 მმ.; a x b x h =1800x2200x400 მმ.
- საძირკვლის კოჭი - წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის რანდკოჭს, განივი კვეთის ზომებით b x h =300x400 მმ.
- მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლებისა და საძირკვლის კოჭის ქვემოთ ეწყობა B7.5 კლასის h =100 მმ-ის სისქის ბეტონის მომზადება.

საოფისე შენობა:

- საძირკველი - წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ლენტურ ფუნდამენტს, რომლის განივი კვეთის ზომები b x h =900x400 მმ-ის ტოლია.
- სვეტი - მონოლითური რკინაბეტონისაა, რომლის განივი კვეთის ზომები a x b =300x300 მმ-ის ტოლია.
- რიგელები - მონოლითური რკინაბეტონისაა, რომლის განივი კვეთის ზომები b x h =300x500 მმ-ის ტოლია.
- პირველი სართულის იატაკი - მონოლითური რკინაბეტონის ფილის მონტაჟი ეწყობა დატკეპნილ გრუნტზე სისქით h =150 მმ., ცალფა არმირებით ქვედა შრეში.
- სართულშუა გადახურვა - წარმოადგენს კონტურზე დაყრდნობილ მონოლითური რკინაბეტონის ფილას, ფილის სისქე h =160 მმ-ის ტოლია, რომელიც ხისტადაა ჩამაგრებული პერიმეტრზე განთავსებულ რიგელებში და ასრულებს ჰორიზონტალური დიაფრაგმის როლს.

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი საწარმოო კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირებისას დაფიქსირებული შეცდომების გასწორება მოხდა დასკვნაზე მუშაობის პროცესში.

შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული საპროექტო შენობები და მისი ცალკეული მზიდი ელემენტები გაანგარიშებულია მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე 8-ბალიანი სეისმური ზონის ზემოქმედებაზე.

აღსანიშნავია, რომ როგორც საპროექტო შენობები, ასევე მისი სამხრეთის მხრიდან მოსაზღვრე შენობა განეკუთვნება ერთ იურიდიულ პირს, შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე დგინდება, რომ ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №104ვ; (ს/კ 01.19.16.002.108) შ.პ.ს. „ჯეოკეპ“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ბუმბა“-ს მიერ დამუშავებული ავტოსერვისის ძირითადი საწარმოო კორპუსისა და საოფისე შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირების შედეგები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივებისა და წესების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობების დაფუძნების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებისა და მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების საფუძველზე საპროექტო შენობებს, როგორც მშენებლობის, ასევე მათი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში დამატებითი ღონისძიების განუხორციელებლად (იგულისხმება „შპუნტური ეკრანი“-ს მოწყობა) არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა მოსაზღვრე ერთსართულიან საწარმოო შენობაზე.

შემსრულებელი
ინჟინერ-კონსტრუქტორი /ვ. ციტაიშვილი/

შ.პ.ს. „ვზი“-ის
დირექტორი /ვ. ციტაიშვილი/